[stamp]

წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 4 ივნისი 1915 წ. № 10

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის" ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო" გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის" ხელის მომწერთ, რომელსაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს" მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## ტფილისის სახაზინო თეატრი

**სამშაბათს, 9 ივნისს,** აკაკის დაბადების დღეს, **გაიმართება პირველი**

## საღამო აკაკისა,

რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან არსებულ **აკაკის სახელობის** ზეპირსიტყვაობის შესაკრებ ფონდის გასაძლიერებლად. საღამოს შინაარსი:

I. შესავალი სიტყვა

II. ნათელა ერთ მოქმედებად

დაიდგმება ბ-ნ ა. წუწუნავას ხელმძღვანელობით; ქ-ნ ე. **ამირაჯიბისა, ი. ზურაბიშვილისა და თავ. ნ. ერისთავის** მონაწილეობით; მომღერალთა გუნდი **ა. კავსაძის** ხელმძღვანელობით შეასრულებს დასავლეთ-საქართველოს სიმღერებს.

III. საკონცერტო განყოფილება

კომპოზიტორ **კ. ფოცხვერაშვილის** ხელმძღვანელობით. მონაწილეობენ: ქ-ნი **ნ. ვესელოვზოროვისა** (ბახუტაშვილის ასული), ბბ.: **ივ. სარაჯიშვილი, ტომაშევიჩი, ა. კავსაძე და ჰუმბურიძე,** აგრეთვე **ქართული გუნდი ა. კავსაძის** ლოტბარობით.

IV. ცოცხალი სურათები ა. წუწუნავას ხელმძღვანელობით: ა) „**მიჯაჭვული ამირანი**", ბ) „**განთიადი**". დასასრულ „აპოთეოზი".

ბილეთები იყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლი), მაღაზიის გამგე თავ. ივ. ავალიშვილთან, დილით 10-დან 2 საათამდე და საღამოთი 5-დან 7 ს. ბილეთები არავის დაეგზავნება. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

## სახალხო სახლი

**პარასკევს, 5 ივნისს 1915 წ.**

**ნ. ჩხეიძის, ი. ზარდალიშვილის და ა. იმედაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

## ლეკის ქალი გულჯავარ

ისტორიული დრამა 3 მოქმ. ა. ცაგარლისა

II

## ვაი ყოგოს

ფარსი 1 მოქ.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე**

ადგილების ფასი 1 მ.—20 კ. 10 კ-მდე. 4—3

## ილ. ევდოშვილის

**სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს" რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4)მიიღება ხელის მოწერა. —უ—

## გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექმნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. (10—უ—3)

კბილის ექიმი ქალი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მ[illegible]სა

მისე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე** საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ოლღას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა

ქ. გორში

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

## თბილისი, 4 ივნისი.

**საინგილო და წ. კ. საზოგადოება.**

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში დაიბეჭდა ფრიად საინტერესო წერილი ბ-ნ ედილისა საინგილოს შესახებ. მკითხველი ამ სალალადო წერილის წაკითხვის დროს უეჭველად იგრძნობდა გულის ტკივილსა და სულის შფოთვას, ვინაიდგან საქართველოს ერთი კუთხე კიდევ ეკარგება. მწუხარება ორკეცდება იმ გარემოებით, რომ აგერ ათი-თხუთმეტი წელიწადია ისმის გოდება და ყვირილი,—საინგილო ხელიდან გვეცლებაო, მაგრამ აქამდე არავის არაფერი გაუკეთებია, ხელი არავის გაუნძრევია. ალბათ ეხლაც, როგორც ყოველთვის, ურმის გადაბრუნებას ველით გზის საპოვნელად. ქართველ კაცის უზრუნველი ბუნება მხოლოდ მაშინ შეირყევა ხოლმე, როცა მას უბედური ამბავი მეხად დაატყდება თავზე, როცა გვიანღაა თითზე კბენანი, ჩივილი და წუწუნი, ხოლო თუ იგივე უბედურება გვემართება „ბუნებრივის" პროცესით, გვეპარება ჩუმ-ჩუმად და თანდათან გვასნეულებს, ყურსაც არ ვიბერტყავთ, სნეულებას სათავეშივე არ ვუჭრით ფესვებს, არამედ დედაბერივით ვბუზღუნობთ და ხან-გამოშვებით ვკვნესით.

საინგილოს გადაგვარება, როგორც ყოველთვის და ყოველგან, იწყობა სულიერ ჩამოშორებით: კლებულობს და თითქმის ისპობა ქართულ ენისა და წერა-კითხვის მცოდნე, სწყდება ძაფი სულიერ ერთობისა, იშლება შეგნება ტომობრივ ნათესაობისა და ბოლოს განცვიფრებულნი ვგებულობთ, რომ საინგილო დასახლებულია უგვარტომო ქრისტიანებითა და მაჰმადიანებით, რომელთაც ქართველობასთან საერთო აღარაფერი შერჩენიათ, ვინაიდგან მათში შეგნება ეროვნობისა გაითქვიფა სარწმუნოებაში. სამწუხარო მაგალითი ამისა ჩვენ ცხადად მოგვევლინა აჭარასა, არტაანსა და შავშეთში, ეხლა კი ასეთივე მაგალითი მზადდება და დღეს თუ ხვალ წინ დაგვიდგება საინგილოში.

ფრიად მნიშვნელოვანი ეროვნული ისტორიული ვალი გვადება კისერზე. ჩვენმა წარსულმა და მომავალმა თაობამ თუ ვერ მოახერხა გამობრუნება გადაგვარების პროცესისა სამხრეთ საქართველოში, ეხლანდელმა თაობამ მაინც წელზე ფეხი უნდა დაიდგას, მთელი თვისი ძალღონე მოიკრიბოს, მოუჭრას საინგილოს არხი აღმოსავლეთით და სამხრეთით მიმავალი და გადმოიყვანოს იგი იქით, საცა მრავალ საუკუნის განმავლობაში ჰქონდა სათავე და სულიერი აუზი.

ბ-ნი ედილი გვწერს: „საჭიროა წერა-კითხვის საზოგადოებამ მიაქციოს ამ გარემოებას ფიცხელი ყურადღება და თავისს ერთ-ერთ პირველ მოვალეობად დაისახოს საინგილოში ერთი-ორი სკოლის გახსნა, თუ არ [illegible] ქართველთა ხსენება [illegible] ოვარდეს საინგილოში".

წასულ და მომავალ მაჰმადიან ქართველთა დაბრუნება ისეთი დიდი საქმეა, რომ საამისოდ ხვალ თუ ზეგ ქართველ ხალხს განსაკუთრებული ფიქრი და ზრუნვა დასჭირდება. სანამ ეს ფიქრი საქმედ იქცევა და განსაზღვრულ ფორმაში ჩამოყალიბდება, საინგილოზე ზრუნვა მხოლოდ წ. კ. საზოგადოებას უნდა დაევალოს, მხოლოდ მან უნდა ითავოს საქმე, მხოლოდ მას უნდა ჩაებაროს მიმავალ მოძმეთა შორის სკოლებისა და სამკითხველოების მოწყობა. საინგილოს მაგალითმა ღრმად უნდა დააფიქროს მოთავენი ზემოხსენებულ საზოგადოებისა და გადაასინჯვინოს სასკოლო გეგმა, თუ იგი გეგმა არსებობს. შველას კახეთი, ქართლი, ანუ იმერეთი კი არ თხოულობს, არამედ უფრო ჩვენი განაპირა კუთხენი, ჩვენი საზღვრები. საზოგადოებრივი ძალა სავსებით იქ კი არ უნდა იბანდებოდეს, სადაც ისედაც საკმაო ძალა აქვს ქართველობას, არამედ იქ, სადაც ან არავითარი ძალა არა აქვს, ან ძალიან მცირე, სადაც უცხოთა ძალა ძალუმად აწვება ჩვენს საზღვარს და ადვილად არღვევს მას. მეტად საყურადღებოა, რომ წ. კ. საზოგადოებას საუკეთესო სკოლები სწორედ საზღვრებზე აქვს: ბათომსა, ალაგირსა, კავკავსა და ბაქოში, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რ[illegible] აქ სკოლებს აშენებს, ამშვენებს [illegible] უვლის ადგილობრივი ერთი [illegible] ძალა. ცხადია, რომ საჭიროა წ[illegible] მთავარ გამგეობის მხოლ[illegible] თაოსნობა, საქმის [illegible] რომ ერთი კაცი გაგ[illegible] და დაავალოს გან[illegible] ხალხის მოგროვება, [illegible] ნელ-ნელა აშენდება, [illegible] თუ ვერ გადაიქცევა [illegible] იყვანს ჩვენსკენ.

იმედი გვაქვს, რო[illegible] სხვათა ძახილი წ. კ. [illegible] ვარ გამგეობასაც [illegible] ყურადღებასა და ფ[illegible] ვალ საინგილოს მიაპ[illegible]

## რა უნდა გ[illegible]

ვინც და რა[illegible] დღევანდელ ომ[illegible] ცხად[illegible]

[illegible]

თვის ეროვნული ინტერესისათვის ღვრის ოკეანე სისხლს და დაუზარელად სწირავს ძალღონით სავსე შვილებს. „ინტერესი" ზოგადი სიტყვაა. მისი დაკონკრეტება და რეალ ერთეულებად დაყოფვა, ქართველისათვის ფრიად საჭიროა. სამშობლო მიწა-წყლის საზღვარი, ენა და მთელი შინაარსი გარდასულ თაობათა სულიერის თუ ნივთიერის შემოქმედებისა, ეროვნული აწმყოს სიამაყე და უკეთესი მერმისის მოპოების უქრობი ჟინი—აი რა შეადგენს ეროვნული ინტერესების შინაარსს. ეს ინტერესი ხლართია წმინდა სულიერი, წმინდა მორალური და წმინდა ეკონომიური მოტივებისა. ეს სხვა და სხვა მოტივი ერთდროული ნაფეთქარია ერთი და იმავე ცოცხალი აგენტისა, რომელსაც ეროვნული ორგანიზმი ეწოდება. ვერ ვიტყვით, რომელი რომელს უსწრობს. თვით ფაქტი ერის ყოფისა, იმანენტურად გულისხმობს ჩამოთვლილი მოტივების განუკვეთელ ერთდროულ და თანაზიარ არსებობას.

უკამათო სინამდვილეა რომ ეროვნული ინტერესი ყველა ღირებულების გამკითხავი ღირებულებაა. რომ იგია ერთად ერთი კერპი, რასაც დღეს ეწირება ეს აუარებელი სიცოცხლე. არა თვის საზღვრების დასარღვევად, არა თვის ენის, ეკლესიისა დ სამართლის, არა თვის ეროვნული თავისუფლების დასამხობად და არც თავის ეკონომიურ კეთილდღეობის დასამხობად იბრძვის დღეს საფრანგეთი, თუ გერმანია! ხომ არა! ეროვნების ელემენტებმა, აქ რომ ჩამოვთვალეთ, ყველამ ერთად და თითეულმა ცალკედ სიკვდილი შეაყვარა ყოველ ფრანგს, გერმანელს, რუს თუ ინგლისელს. ეროვნულმა სახემ შექმნა თითეულში სიკვდილის შემყვარებელი ენტუზიაზმი. ეს დაურღვეველი სინამდვილეა. დასაბამიდან ასე იყო; გასულმა ორმოც წელიწადმა, სხვა და სხვა მიზეზის გამო, მივიწყების ლეჩაქით შებურა იგი; 1914 წელმა სინამდვილე გააშიშვლა. დღეის დღის ქართველმა უნდა შეიგნოს, თუ რისთვის იბრძვის ფრანგი თუ რუსი, უნდა იცოდეს რომ ერთიც ამაყობს დასახულ მიზნითა და მეორეც, და რომ არც მას დაეზრახება თავი გამოიდოს მზგავსი მიზნისთვის; უნდა შეიგნოს, რომ მასაც აქვს თვისი ენა, საზღვარები, სამართალი, რომელთაც მიხედვა სჭირია. ეს უნდა გვახსოვდეს. იგი გაკვეთილია დიდი ცხრაას თოთხმეტისა!

ს. კ—დია.

## ომის დღიური

### მიმოხილვა

კოვნო-ლიბავის ხაზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. გერმანელები უკიდურესის ენერგიით ცდილობენ რუსის ხაზის გარღვევას, არავითარ ზარალს არ ერიდებიან და ცდილობენ თავიანთი განზრახვა სისტემატიურის ჟინით განახორციელონ. საკმაოდ დიდ ხაზზე გაჭიმულს მედგარ ბრძოლას ჯერაც არ უჩანს ბოლო. ჩვეულებრივი თვალის ასახვევი ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ოსოვეციდან მოყოლებული ხორჟელე-პრასნიშის ხაზზე და ვარშავის წინ, სოფელ სუხასთან. აქედან მოყოლებული სანის შესართავამდე აგერ სამი კვირა იქნება, რაც აღარაფერი ისმის.

მდინარე სანის გამოღმა ავსტრო-გერმანელებს შეუვსიათ დანაკლისი, მოუყვანიათ ახალი ჯარი, მოუგროვებიათ აუარებელი ზარბაზანი და 30 მაისს ისევ შემოუტევიათ. დღევანდელ ო[illegible] შებიდან სჩანს, რომ სამი დღი[illegible] სასტიკ ბრძოლის შემდეგ [illegible] გადმოსულა მტ[illegible] მარჯვენა ნ[illegible] ლიუბაჩე[illegible] იასთან, [illegible] თავსა დ[illegible] უვლის [illegible] ბედი [illegible] გან [illegible] სწ[illegible]

[illegible] ვიახის მიმართულებით, ხოლო დღით იმავე რიცხვს, პრასნიშის რაიონის ჩრდილოეთით კერძო ხასიათის შეტაკებანი ჰხდებოდა. მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ.

გალიციაში გერმანელებმა უკვე შეივსეს ჯართა დანაკლისი და ახალი დასვენებული ძალებით, რომელნიც პირველად აღმოვაჩინეთ ჩვენს ფრონტზე, 30 მაისს იერიშით წამოვიდნენ იაროსლავის რაიონში, სანის მარჯვენა ნაპირზე. მათ ზურგს უმაგრებდა ძლიერი არტილერია. სამი დღის მკაცრი ბრძოლის შემდეგ მათ წაიწიეს და რუსთა პოზი[illegible] [illegible] ადგილი ლიუბაჩე[illegible] ვიშნის შუა ჩაიგდეს ხელ[illegible] 31 მაისს რუსები [illegible] ეკვეთნენ მტერს [illegible] მარცხენა [illegible] ნეს [illegible]

უდრის 250 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ხვალ ასკვიტი წინადადებას მისცემს პარლამენტს წარმოადგინოს საჭირო ფული.

**ლონდონი**, 1 ივნისი. წყალქვეშა გაუმართლებელის სიმკაცრით მოეპყრა გემ „ხომპოუნტის“. მან გაუფრთხილებლად სამჯერ ესროლა საკაპიტნო ბაქანს, მძიმედ დასჭრა კაპიტანი და 4 მატროსი. დააზიანა გემი. შემდეგ წყალქვეშამ უბრძანა „შლიუპკების“ ჩამოშვება. ამ ხნის განმავლობაში მას სროლა არ შეუწყვეტნია. კაპიტანი თითქმის სისხლიდან დაიცალა და გადაარჩინეს გრძნობა დაკარგული. ამავე წყალქვეშამ გემს, რომელიც უდროშოდ მოდიოდა, აღროვა 2 წამი, რათა ეკიპაჟს გაენთავისუფლებია იგი, შემდეგ ოთხჯერ ესროლა გემს. ეს გემი გამოდგა საფრანგეთისა სახელად „დიამონი“.

**ბუქარესტი**, 1 ივნისი. მთავრობამ სამხედრო ძალის დახმარებით ხელი შეუშალა მიტინგს საზოგადო პარკში, რომელიც მოაწყო სოციალისტების კომიტეტმა და ზავის მომხრე მუშებმა. ჟანდარმების პატრული ქუჩაში იმყოფებოდა წეს-რიგის დასაცავად. სოციალისტებს შორის რამდენიმე დაატყვევეს. ვაკარესჩის უბანში გროვა სოციალისტებისა სცდილობდა უწესოება მოეხდინა, ისროდნენ რევოლვერებს, ჟანდარმებმა გარეკეს მანიფესტანტები. ორივე მხრით დაიჭრა რამდენიმე კაცი. მთავრობას მანიფესტაციის ხელის შეშლით უნდოდა თავიდან აეცდინა მოსალოდნელი ხელჩართული ჩხუბი და სისხლის ღვრა.

**ლონდონი.** გამოურკვეველი მიზეზით ცეცხლი მოედო ვიქტორიის დოკებს ლონდონში და ბამბის შესანახს ლივერპულის ახლო, აგრედვე ცეცხლი მოედო შენობებს, რომელიც ეკუთვნოდა ანილინოვის კომპანიას მანჩესტერში.

**სტოკჰოლმი**, 1 თიბათვე, ქ. ვარეში თავისუფალ მოაზრეთა პარტიის მეჯლისზე ყოფილმა მინისტრ-პრეზიდენტმა სტააფიმ წარმოსთქვა სიტყვა და სხვათა შორის სთქვა: ომის დაწყებიდანვე მთავრობამ მტკიცე სურვილი განაცხადა, სანამ შესაძლებელია ნეიტრალიტეტს დავიცავო. მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთ წრეებში და შვედურს პრესაში სხვანაირმა ტენდენციამ იჩინა თავი. სამი მეფის ერთად შეხვედრამ გამოარკვია, რომ შვეცია ნეიტრალობის პოლიტიკას უნდა დასდგომოდა, როცა მემარჯვენე პრესამ აქტიურ პოლიტიკაზე იწყო ქადაგება, და ისეთი შინაარსი მისცა ამ ნეიტრალობას, რომლის თქმაც გულ-ახდილად ვერ გაჰბედა. ყოველ შემთხვევაში, შვეციის ერი არ უნდა ჩაერიოს ისეთს პოლიტიკაში, რომელიც ამავე ერის სურვილს ეწინააღმდეგებაო.

**პარიზი.** 1 ივნისი ოფიციალური. მას აქეთ რაც გალიპოლის ნახევარ-კუნძულზე ჯარები გადავსხით, მოკავშირეებმა მოვიგერიეთ მრავალი მძაფრი შემოტევა ოსმალებისა, საროსის ყურედან დაწყებული, ვიდრე დარდანელის სრუტემდე. 23, 24 და 25 აპრილს მოკავშირეთ დაიჭირეს იმდენი ადგილი, რამდენიც საჭირო იყო ბანაკთა გასაშლელად და საფარიც გამართეს, რათა მტრის არტილერიას ხელი არ შეეშალა ახალი დესანტისათვის. ამ მომენტიდან სამხედრო ოპერაცია რთულდება და მოითხოვს დაწვრილებით გათვალისწინებულ სამზადისს, რათა დაჭერილი ადგილი მიუვალი და აუღებელი გახდეს. კლდე ბაბა 250 მეტრის სიმაღლისაა, გაწოლილია ნახევარ-კუნძულის სიგანეზე და წარმოადგენს მძლავრ მოგერიებით პოზიციას, რომელსაც აგერ მეექვსე კვირაა რაც მოკავშირეთა ჯარი ებრძვის. ფრონტის სივიწროვის გამო, მტრის პოზიციების აღება მხოლოდ პირისპირი იერიშით შეიძლება. 25 აპრილს, კერევენდერეს ხრამთან, ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიჭირეთ სანგარი ბუშე, იმ კაპიტანის სახელით წოდებული, რომელიც ამ სანგრის პირას იქმნა მოკლული. ოსმალები ამაოდ ცდილობდენ პოზიციების დაბრუნებას.

16 მაისს ღამით საკოლონიო პოლკმა იერიში მიიტანა ერთ პატარა ციხის წინააღმდეგ, რომელიც მტრის ხაზის უძლიერეს მარცხენა ფრთაზე იყო. ხეირიანი მანევრის წყალობით ერთი რაზმი მტერს უცაბედათ თავს დაესხა და გააქცია კიდეც. ეს რაზმი შესდგებოდა 34 ევროპიელისა და 32 სენეგალელ მოხალისესაგან. ამა დროს მეორე რაზმმა მტრის კონტრ-იერიში მოიგერია. ჯარები აღებულ პოზიციებს მაშინათვე ამაგრებენ. დაპყრობილი პოზიციები ძალიან ხელსაყრელ პირობებსა ქმნის შემდეგი ბრძოლისათვის.

**პარიზი**, 1 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობით, არასიდან ჩრდილოეთით მტრის რამოდენიმე იერიში მოვიგერიეთ, რომელიც ექსნულეტ-სუშეს შარა გზიდან ჩვენს თხრილებზე მოქონდათ. ნოტრ-დამ-დე-ლორეტიდან აღმოსავლეთით პოზიციები დივიჭირეთ, რის გამოც მარჯვნით 150 მეტრზე წინ წავიწიეთ. ამის გარდა ლაბირინტიდან სამხრეთ-აღმოსავლეთითაც წინ წავიწიეთ. არტილერიის ბრძოლა ამ ადგილებში კვლავ გრძელდება. სამხრეთ აღმოსავლეთით ერუტერნიდან ზარბაზნის საშუალებით შევაჩერეთ სერმაილ-მალეს გზით წამოსული მოწინააღმდეგის იერიში. მოწინააღმდეგის თხრილებს ზარბაზნები დავუშინეთ. კონვიერის რაიონში მტრის მზვერავთ ზარალი მივაყენეთ და თხრილებიდან წინ წავიწიეთ. არტილერიის ბრძოლა მთელს დღეს გაცხარებულად სწარმოებდა. ლოტარინგიისკენ ჩვენი ხაზი წინ წავსწიეთ ამერ მენილის და პარუას ტყის რაიონში. ჩვენი წინ წაწევა ამ ადგილებში განუწყვეტლივ სწარმოებს.

**სტოკჰოლმი**, 2 ივნისი. გაზეთ „სვენსკო დაგბლატს“ ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ: თანდათან სცხრება ის პირვანდელი ოპტიმისტური სულიერი განწყობილება, რომლითაც მიეგებნენ ამერიკის ნოტას. ამბობენ, მიუხედავად მეგობრული ტონისა, ნოტა შეეხება მთელ რიგ დიად მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა ასეთი თუ ისეთი გადაჭრა სავალდებულო არ[illegible]

„ლოკალ ანცაიგერი“ იუწყება ოფიციალურ წერილში, გერმანიის მთავრობა თანხმობის მოსურნეა ამერიკასთან და თავის მხრივ ცდას არ დააკლებს, რომ ამ შეთანხმებას მიაღწიონ, რადგანაც ამერიკისთვის ომის გამოცხადება ერთობ სარფა იქნება ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებისათვის; ამათ შეეძლებათ ამერიკის ქარხანა-ფაბრიკებიდან მიიღონ სამხედრო მასალა, რაც ჯერჯერობით ვერ მოუხერხებიათ.

შვეციის მთავრობა ხალხს მოუწოდებს ფრთხილად და დაზოგვით მოეპყრას პირველ საჭიროების საგნებს, განსაკუთრებით ქვანახშირსა და ნავთს, რომელთა შემოტანა ერთობ გაძნელებულია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### შეთანხმება.

რომიდან იუწყებიან: მიუხედავად იმისა, რომ იტალიასა და გერმანიის შორის დიპლომატიური მოლაპარაკება უკვე შესწყდა და იტალია მოელოდა ომის გამოცხადების ამბავს, მაინც ჯერჯერობით არაფერი ისმის. არც იმის დამარწმუნებელი საბუთია, ვითომც გერმანია ავსტრიისკენ იტალიის წინააღმდეგ [illegible] ინიდეს. საქმის ასეთს მდგომ[illegible]ეს სახელმწიფონი ერთმანეთ[illegible] შეთანხმებულან, რათა მათს ქვეშევრდომებს თავ-თავის სახელმწიფოში არა [illegible]ევნოთ-რა. ამ შეთანხმების ძალით ორივე სახელმწიფოს ქვეშევრდომნი მშვიდად სცხოვრობენ: გერმანელები იტალიაში და და იტალიელები გერმანიაში.

### ავსტრიის საზღვარზე.

ვერონიდან იუწყებიან: ტრენტინოში გაცხარებით სწარმოებს ყველა კლასის 17—50 წლის მამაკაცთა მობილიზაცია. როგორც ჩვეულება მოითხოვს, ქუჩებში არავითარი განცხადება არ არის გამოკრული. ჟანდარმები ღამით სახლებში დაიარებიან და მიჰყავთ აღნიშნული მოზარდი თაობა. ვინც ტრენტინოში დარჩა, ბრძანება არის, გამზადებულ იყვნენ ქალაქიდან გასასვლელად.

### ომის ხარჯი.

გაზეთები შემდეგს ომის ცნობას ათავსებენ: ომის დაწყებიდან რვა თვის განმავლობაში ყველა სახელმწიფოში მოუკრებიათ 30 მილიონი კაცი და 8 მილიონი ცხენი.

დაიჭრა, დაიხოცა და ტყვედ იქნა წაყვანილი 10 მილიონი ჯარისკაცი და 4 მილიონი ცხენი. ამ ჯარის გამოკვებას მოუნდა:

90 მილიონი ფუთი ხორცი.
360 „ „ პური.
480 „ „ შვრია.
980 “ „ თივა.

დღემდე ომზე დაიხარჯა 20 მილიარდ მანეთზე მეტი. აქედან საფრანგეთს დაუჯდა სამ მილიარდ ნახევარი, ინგლისს ოთხ მილიარდ ნახევარი და გერმანიას ექვსი მილიარდი მანეთი.

წლიური ჯამი საერთო გასავლისა ფულით, ჯართა სიცოცხლის დაკარგვით, დაღუპულ ქონებათა რაოდენობით დიდ სახელმწიფოთათვის ნავარაუდევია:

ბელგიისთვის 5 მილიარდი მანეთი.
საფრანგეთისთვის 17 მილიარდი.
ავსტრია-უნგრეთისთვის 15 მილიარდი.
გერმანიისთვის 28 მილიარდი.

ხარჯი რუსეთისა ნაანგარიშევი არ არის.

### ბავარიის მეფის სიტყვა.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან: ბავარიის მეფეს მიუნხენში მეჯლისზე ასეთი შინაარსის სიტყვა წარმოუთქვამს: დიდძალი ძვირფასი სისხლი დაიღვარა, მაგრამ უნაყოფოდ არ ჩაივლის დაღვრილი სისხლი. მისი ნაყოფი გერმანიის საზღვრების გაფართოვება და გერმანიის გაძლიერება იქნება, რათა ამით უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყანა მომავალში თავდასხმისაგანაო.

### გერმანელების ხრიკები,

გაზეთ[illegible] გერმანელების ჯარს ტყე[illegible]იან, ხელში უჭირავთ, ან ცხენებზედ აკრავენ, ასე რომ შორიდან ტყესავით მოსჩანს. ზამთრობით თეთრ მიტკლების პერანგებს იცვამენ, რის გამოც ძნელად შესამჩნევნი ხდებიან.

### კონტრაბანდა.

სტამბოლში კონტრაბანდის შეტანას განაგრძობენ. ყოველ დღე მოდის აუარებელი ვაგონები რაღაც საიდუმლო საქონლით. უკანასკნელ დღეებში შემოიტანეს მრავალი ვაგონები რუმინელთა ბენზინით. გერმანელთა აფიცრები და ჯარისკაცები ძველებურად განაგრძობენ მოსვლას. სტამბოლში მოსვლისას ვაგონებიდან პირდაპირ გერმანულ ფორმით გამოდიან. რუმინელთა საქციელით ყველანი მოხიბლულან. მართალია, აქ მოსვლისას სამხედრო არ აცვიათ, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად ჰხდება, თორემ რუმინელები სიყვარულითა და თანაგრძნობით ისე მიაცილებენ მათ, რომ ბარგს არც კი უჩხრეკენ. ამ დღეებში ექვსმა აფიცერმა გაატარა 50 ფუთი ოქრო, თქმა არ უნდა, რომ რუმინიის უფროსთა განკარგულებით უნდა მომხდარიყოს. ერთი სიტყვით, გერმანიის ნავები თავისუფლად ეზიდებიან ყოველგვარ კონტრაბანდას რუმინიისა და ბოლგარიის გზით.

### ადმირალი ფონ-უზედომ ფაშა.

დარდანელის დაცვა უკისრნია ადმირალ ფონ-უზედომს, რომელსაც უზედომ ფაშას უწოდებენ. მისი შტაბის უფროსია პირველი რანგის კაპიტანი ფონ-იანსონი. ადმირალი უზედომი მსახურებდა გერმანიის ფლოტში 1871—1910 წლამდე. შემდეგ იგი ჩარიცხულ იქმნა ვილჰელმის ამალაში. ორი თვის შემდეგ მიიღო გენერალ ადიუტანტის სახელწოდება „დარდანელში ბეჯით თავდაცვის სამსახურისთვის“.

### გერმანელთა სიფხიზლე

შეერთებულ შტატებში გერმანელთა ერთგვარი შეთქმულობა აღმოაჩინეს. თურმე ნუ იტყვით გერმანელებს შეუდგენიათ ფინანსისტების ძლიერი ჯგუფი, რომელსაც შეუსყიდია დიდძალი აქცია იმ სამრეწველო დაწესებულებთა სადაც ამერიკელები ამზადებენ მოკავშირეებისათვის სამხედრო სურსათს. ყველა ეს ფინანსისტები მოდგმით გერმანელი გამოდგა, მხოლოდ ეხლა ხან მიუღიათ შეერთებულ შტატის ქვეშევრდომობა. ყველა საჭირო საქონელში ისინი მაღალ

# საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა

(წარსული, აწმყო და მომავალი*)

III

### [illegible]ა სინიდისის თავისუფლება საქართველოში

[illegible]მთავრობას, როგო[illegible] იგი—ქრის[illegible]ღფული, [illegible]ბის [illegible]

ტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და მადლმან ღვთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთაო“.[1]

ასე დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება ჩვენს სამშობლოში მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ, როგორც ჩვენი საისტორიო მასალების საფუძვლიანი შესწავლა გვიჩვენებს, სახელმწიფოე[illegible] ძალდატანებას ქრისტიანობის [illegible]ში ამას შემდეგ ადგილი აღარ [illegible]ც პოლიტიკური გარე[illegible]დგან 368 [illegible]ვლეთის [illegible]თქმის [illegible]ვემელ [illegible]თველ [illegible]პოთ [illegible]

თმეტე საუკუნეში),—და ამ ვაი-ვაგლახში კიდევაც მოაწია მეთორმეტე საუკუნემ, რომელიც საქართველოში სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა და, კერძოდ, მეფის უფლების უმწვერვალესათ განვითარების ხანას წარმოადგენს. როგორც ვიცით, არც წინეთ და არც შემდეგ არასოდეს მეფის ძლიერებას საქართველოში ამ ხარისხამდე არ მიუწევია. ამასთანავე წინა საუკუნის მეორე ნახევარში რომის ეკლესია მოსწყდა აღმოსავლეთის ეკლესიას და საქართველოს ეკლესიამაც ამავე დროს (როგორც წინა თავში ვნახეთ) ანტიოქიის პატრიაქისაგან სრული დამოუკიდებლობა მიიღო, რითაც საფუძველი გამოეცალა ევროპის ქრისტიან სამეფოების მხრივ შიშსა, და ქართველ მეფეებს შეძლება მიეცათ, ეკლესიის შესახებ ისე ემოქმედნათ, როგორც საკუთარი გონება გაუჩრიდათ. მაშასადამე, უკეთუ გვსურს გავიგოთ, თუ როგორს ურთიერთობაში უდგა სახელმწიფო ქრისტიანობრივს ეკლესიას საქართველოში, მტკიცეთ იცავდა თუ არა იგი სარწმუნოებრივს საქმეებში ძალდაუტანებლობის [illegible]ინციპს,—რა თქმა უნდა, ჩვენ სწორეთ [illegible]ანას უნდა მივმართოთ და უმთავრე[illegible]მ პერიოდის მეფეთა მოქმედებაში [illegible]ძიოთ აღნიშნულ საკითხის პასუ[illegible]მართება.

[illegible]ოს საუკუნე იწყება და[illegible]რის მეფობით (1089 [illegible] თამარ-დედოფლის [illegible] წელს). მთელს [illegible]—არც ქრისტია[illegible] არც ისტორიულ[illegible] ეკკლესიის წეს[illegible] შინაგანს მართვა[illegible]ვს დამოუკიდებ[illegible] მხრივ არავითარი [illegible]ვიწროება არ გა[illegible]

[illegible] საერო მთავრობა [illegible]ოს არ ატანდა, [illegible]დებლობითი ეკ[illegible]ხარიყვნენ, პირი[illegible]ღიდებლებს, ისე [illegible]ბს, მაჰმადიანებსა და ებრაელებს გასაოცარის პატივისცემით ექცეოდა და მფარველობდა. ამას მოითხოვდა როგორც პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, ისე სარწმუნოებისა და კერძოდ ეკლესიის თავისუფლების პრინციპი. დავით-აღმაშენებელის თანამედროვე სომხის ისტორიკოსი მათე ედესელი აღტაცებით მოგვითხრობს ამ მეფეზე, რომ იგი იყო „წმინდა, კეთილმსახური, ქველმოქმედი და მართლ-მსაჯული კაციო; მის გარშემო თავს იყრიდა სომხის ერის გადარჩენილი ნაწილი, რომლისთვისაც მან საქართველოში ქალაქი გორიც-კი დააფუძნა, სადაც მრავალი ტაძარი და მონასტერი ააშენა და ჩვენს ხალხს ყოველგვარი ნუგეში და მშვიდობა მიანიჭაო“.[4] ხოლო მუსულმანთა მწერალი ელაინი დავით-აღმაშენებელის შესახებ გადაჭრით გვეუბნება, რომ „მაჰმადიანებს იგი უფრო მეტის პატივისცემით ეპყრობოდა, ვიდრე თვითონ მაჰმადიანი მეფეებიო“.[5] მსგავსისავე პატივისცემით სარგებლობდნენ გრიგორიანები თამარის მეფობაშიაც, როდესაც ზოგიერთ მათგანს უუმაღლესი საერო ხელის-უფლებაც კი ჰქონდათ მინდობილი თამარისაგან (სარგის და ზაქარია მხარგრძელნი).[6]

რაც შეეხება ქართველი მეფეების მიერ რომის კათოლიკობის შეწყნარებას, რომლის საკუთარი ისტორია ჩვენში თამარის შემდეგ იწყება,—ამას ამტკიცებს თითქმის ყოველი გვერდი მღვდლის მიქელ თამარიაშვილის თხზულებისა: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“.[7] შეწყნარებული იყო საერო მთავრობისაგან საქართველოში ებრაელთა მონოთეიზმიც. რადგან თვით ებრაელები ფრიად სასურველ და სასარგებლო ნაწილს შეადგენდნენ ქართველ ერისას: იგინი ითვლებოდნენ სამეფო საეკლესიო და სათავადო ყმებად და როგორც მეფეს, ისე თავადებსა და ეკლესიას ფულითა და კოლონიალურ ნაწარმოებით განსაზღვრულ ხარკს აძლევდნენ.[8] ცხადია, ამ გვარს პირობებში ჩაყენებულს მართლმადიდებლობითს ეკლესიას ნაძალადევი წევრი ერთიც არ გაუჩნდებოდა. თუ კი ამ ეკლესიას უცხო სარწმუნოების მიმდევართაგან ახალი წევრი შეეძინებოდა, ეს იძულებით და პოლიტიკურის ანგარიშით კი არ მოხდებოდა, არამედ სრულიად თავისუფლად და ახლად მოქცეულის გულწრფელ და უანგარო გადაწყვეტილების თანახმად.

საეკკლესიო კანონების ძირითადი მოთხოვნილებაა—რომ მოციქულთაგან ნაანდერძევს, ისტორიულად შექმნილს, მსოფლიო პატრიარქთაგან დაკანონებულს და ტრადიციულათ გადმოცემულს ეკლესიის წესწყობილებას და მართვა-გამგეობას იოტის ოდენიც არა დააკლდეს რა. მე-XII საუკუნის დამდეგს საქართველოს ეკლესიას ჰყავდა მსოფლიო პარტრიარქების მიერ ცნობილი დამოუკიდებელი კათალიკოზი, ჰქონდა ისტორიულ-ტრადიციულათ ნაანდერძევი შინაგანი ორგანიზაცია, მორწმუნეთა კეთილნებელობით შემოწირული უძრავ-მოძრავი ქონება და ყოვლისავე ამის უუზენაესი განმგე და კანონმდებელი—საეკლესიო კრება. არც ერთ ამ დაწყებულებასა და ორგანოს არც დავით-აღმაშენებელი და არც თამარ-მეფე მცირეოდენადაც არ შეჰხებიან. პირიქით, იგინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ეკლესიის ყველა ორგანოებს თავისუფლათ და ნორმალურათ ემოქმედნათ.

**ერისგანი.**

(შემდეგი იქნება)

[4]) Dulauriet Recnell des histor. des croisades.—Docum. I. p. 137. შეად. დ. მ. ბაქრაძის შენიშვნა. „ვახუშტი, საქართვ. ისტორია“. ნაწ. I, გვ. 185. შენ. I თბილისი. 1885 წ.

[5]) Brosset. Additions ct éclaircissemeuts à l' Hist de Georgle. p. 240—241. Spq. 1851.

[6]) ქ.-ცხოვრ. I, გვ. 409. 454—455.

[7]) მიქ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბილისი. 1902 წ.

[8]) იხ. А. Гренъ. Закавказскіе Iудеи. („Этнограф. Обозрѣніе“ 1893 г. № 3, стр. 131). შეადარეთ Д. Пурцеладзе. Церковн. гуджары. Тифлис. 1881 г. стр. 86. 110. 147. 122. 134. 130. 140. 129. 123 и 135.

ფასებს იძლეოდნენ. ლუზიტანიის დაღუპვის შემდეგ, ამერიკაში გაურბიან გერმანელების მომხრეებთან საქმის დაჭერას. გამოაშკარავდა კიდეც გერმანელთა ფინანსისტების ჯგუფის მონაწილეობა სამხედრო სურსათის დამამზადებელ დაწესებულებებში და შესაფერი ღონისძიებაც მიიღეს ამ ჯგუფის წინაამდეგ. მაგრამ გერმანელი აგენტები თავისას არ იშლიან. შეეცადნენ მუშათა ორგანიზაციების მომხრობას, დიდძალი ფულიც შეაძლიეს ამ ორგანიზაციის მეთაურებს, რომ გაფიცვა გამოეწვიათ და სამხედრო მასალების დამზადება შეეჩერებინათ. მთავრობამ გაუგო განზრახვა და ყოველ გერმანელ აგენტს გზირები მიუჩინა.

**ბულგარეთის სამზადისი.**

ბულგარული გაზეთი „ვოლია' იუწყება, რომ 21 მაისს სოფიის სამხედრო ბიურომ მოწერილობა გაუგზავნა სათადარიგო ჯარის კაცთ სოფიაში გამოსაცხადებლად, რომ საიდუმლო ბრძანება აუწყონ მათ.

**რუმინელთა „ბესარაბიის ლიგა“.**

რუმინიის პრემიერი ბრატიანუ არაფერს ერიდება და ქუჩაში გამოაქვს საიდუმლო დიპლომატიური მოლაპარაკება. ამ შემთხვევაში საქმე რუსეთს შეეხება. ოფიციოზური პრესა ამბობს, რუსეთთან შეთანხმება და საქმის ტკბილად მოგვარება შეუძლებელიაო. სხვათა შორის ai რა აზრია გატარებული ბრატიანუს რჩევით და თანხმობით დაბეჭდილ წერილებში:

„რუმინიას კვლავ მოუწოდებენ რუსეთის დასახსნელად, როგორც ეს მოხდა 1878 წ., როდესაც რუსეთი ხიფათს გადურჩა მხოლოდ რუმინიის წყალობით. მაგრამ ამ შემთხვევაში რუმინია არ დასჯერდება ფორმალურ გარანტიას, რომ მასაც ერგოს თავის შრომის გასამრჯელო, როგორც ეს იყო 1878-ში. რუმინია მოითხოვს კომპენსაციას, რომელიც საჭიროა მისი ეროვნული ინტერესისთვის. ბრატიანუ არ მალავს, რომ რუმინელთა 800,000 ხიშტი იმას მიეშველება ვინც მეტ კომპენსაციას დაგვპირდებაო, ამავე დროს რუმინიაში შესდგა ახალი პარტია „ბესარაბიის ლიგა“, რომელიც მოითხოვს რუსეთის წინაამდეგ დაუყოვნებლივ გალაშქრებას.

**ყველა თავის თავს შველის**

ჟენევაში ჩამოვიდა სამხრეთ სლავიანთა დელეგაცია, რომელშიაც შედიან ტრიესტის, დალმაციის, ისტრიისა, კროაციისა და კრაინისა, რომ ამ დელეგაციის დავალებით აქვე ?? თავითვე ეროვნული თვით არსებობის გარანტიებს ნიადაგი შეუმზადოს. ჟენევიდან დელეგაცია გაემგზავრა პარიზს და ლონდონს.

# † კონსტანტინე კონსტანტინეს ძე

20 ივნისს გარდაიცვალა მათი იმპერატორობითი უმაღლესობა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. დაიბადა 1858 წ. 10 აგვ. ჯერ თბილისის საგრენადერო პოლკის უფროსი იყო, შემდეგ სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარე (1889 წ.), ლეიბ გვარდიის კამანდირი (1891 წ.), ერთხანად ფლოტშიაც მსახურებდა. დიდი მთავარი ცნობილი იყო როგორც ჰუმანიური ადამიანი, ფრიად ნიჭიერი და მასთან ხელოვნების მოტრფიალე. იგი არა თუ პატივსა სცემდა ხელოვანთ, თითონაც სცდილობდა ამ დარგში რაიმე წვლილი შეეტანა. მაგ, ცნობილია მისი ლექსთა კრებული სხვა და სხვა წელს გამოსული. სათნო და მაღალი იდეალებით გატაცებული თავის ლირიკის საგნად იღებდა საღმრთო წერილის სიუჟეტებს: „მეფე საული“, „სებასტიან წამებული“ და ბოლოს გვირგვინი მისი სადრამო ხელოვნური ნიჭისა— „მეფე ურიათა“, რომლის წარმოდგენა მხოლოდ სასახლეში დართეს და მის გარეშე-კი აკრძალეს. მისი ლექსები თარგმნილია უცხო ენებზე და მასთან ქართულადაც. სხვათა შორის „მეფე ურიათა“ სთარგმნა განსვენებულმა ჩვენმა მსახიობმა კოტე მესხმა.

# ახალი ამბავი

**ქ. პეტროგრადს ამა თვის ორს, საღამოს შვიდ საათზე, ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, მკერდის კიბოს ავადმყოფობით ღვთივ გარდაიცვალა, მათი იმპერატორებითი უმაღლესობა, დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე, სიმამრი ჩვენის თანამემამულის კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე მუხრან-ბატონისა, რომელიც ბრძოლის ველზედ გმირულად განიწირა და კვირას, 31 მაისს, მცხეთის სვეტიცხოვლის საგვარეულო აკლდამაში დაკრძალულ იქმნა.**

◆ **საკრედიტო ამხანაგობათა საყურადღებოდ.** ამას წინად ქართ. სასოფ. სამეურნეო საზოგადოებამ ბ-ნ პ. კანდელაკის საანკეტო ფურცლები დაუგზავნა საკრედიტო და შემნახეელ-გამსესხებელ ამხანაგობათ. სამეურნეო საზოგადოება სთხოვს იმათ, რომელთაც ჯერ არ დაუბრუნებიათ ხსენებული ფურცლები, დააჩქარონ მათი შეკრება და დაბრუნება. უკანასკნელი ვადა 20 ივნისია.

◆ **ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭო 2 ივნისს შეუდგა თავის დაწესებულებათა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. შემდეგი სხდომა ამ საგნის შესახებ საბჭოს ექნება ხვალ, 5 ივნისს.

◆ **მთაწმინდაში მიცვალებულთა დასაფლავების აკრძალვა.** ინჟინერმა კონიუშევსკიმ და გეოლოგმა ბოგაჩევმა ქალაქის გამგეობას მოხსენება წარუდგინეს, რომელშიაც ამტკიცებენ, რომ მთაწმინდის ეკლესიის გალავანში მიცვალებულთა დაკრძალვა უნდა აიკრძალოს, რადგან მიცვალებულთა გვამი ჰაერსა და წყაროებს სწამლავსო.

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობამ 1 ივნისს დაადგინა: 1) ბათომის სკოლის მასწავლებლებს ეძლიოს ჯამაგირი 1 სექტემბრამდე, ხოლო მაშინ თუ სწავლა არ განახლდება ბათომში, ხსენებული მასწავლებლები საზოგადოების სხვა სკოლებში იქმნან გადაყვანილი; 2) სტუდენტს სილოვან ყიფიანს ერთი წლით განეგრძოს სტიპენდიის ძლევა თვეში 27 მან., ხოლო საზოგადოების ყოფილმა სტიპენდიანტებმა, დ. ჩხეიძემ და სიმონ ფიცხელაურმა, რომელნიც სტიპენდიის გაგრძელებას თხოულობენ ერთის წლით, წარმოადგინონ საჭირო საბუთის ქაღალდები; 3) ქართველ სტუდენტთა წრეს ნება დაერთოს გამოსცენ ცალკე წიგნაკად ომიანობისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ ილია ჭავჭავაძის წერილი—„ოსმალეთის ქართველნი“.

◆ **მანდილოსანთა კრება.** შაბათს, საღამოს 6 საათზე, მანდილოსანთა ჯგუფს კრება ექნება წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობის გამართვის შესახებ სათათბიროდ.

◆ **სამეცნიერო აკადემიის გამოცემათა შეძენა.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ სთხოვა პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიის კანცელარიას, საზოგადოებას უგზავნოს თითო ცალი აკადემიის ყველა გამოცემისა.

◆ **გენ. გ. ნ. ყაზბეგი,** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, საზაფხულოდ წავიდა თავისს სოფელ სტეფანწმინდაში. სანამ არ დაბრუნდება, გამგეობის თავჯმდომარის თანამდებობას შეასრულებს ბ-ნი დ. კარიჭაშვილი.

◆ **ქალაქის გამგეობის წევრი, გ. დ. ჟურული,** რომელიც ავტომობილმა დააზიანა კ. ა. მუხრან-ბატონის გასვენების დროს, უკედ არის და დღეს-ხვალ თანამდებობის ასრულებას შეუდგება.

◆ **ქალაქის გამგეობამ** შეატყობინა კავკასიის ჯარების უფროსს, რომ როსტოვში ნაყიდი გვაქვს 200 ვაგონი ფქვილი, რომელიც თანდათან მოდის თბილისში და სამის კვირის განმავლობაში ქალაქს ფქვილი არ შემოაკლდებაო. შაქრის შესახებ კი გამგეობა ამბობს, რომ ფასი თუ არ მოემატა შაქარს, გირვანქაზე 1 კაპ., ქალაქი უშაქროდ დარჩება, რადგან არსებულ ფასებში შაქრს არ გაჰყიდიან ვაჭრებიო.

◆ **ექიმთა კრება.** დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქალაქის გამგეობის შენობაში თბილისის ლაზარეთთა უფროს ექიმებს სხდომა ექნებათ, რომელზედაც უნდა შემუშავდეს წესები ლაზარეთებში მოსამსახურეთა შორის ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ და აგრეთვე ლაზარეთებში მყოფ ჯარისკაცთათვის ხელსაქმის შემოღებაზე.

◆ **ომში დახოცილნი:** პოდპორუჩიკი კონსტანტინე დავითის ძე ჭუჭულაშვილი; კორნ. ივანე ფილიპეს ძე ჭეიშვილი. დაიჭრა: კაპიტ. გიორგი დავითის ძე კლდიაშვილი.

◆ **თბილისის სათ.-აზნ. გიმნაზიასთან არსებულმა უფასო სასადილოს კომიტეტმა** მადლობა გამოუცხადა კნ. ქეთევან ირაკლის ასულს ამილახვარს, რომელმაც მუხრან-ბატონის კუბოზე გვირგვინის მიძღვნის მაგიერ, უფასო სასადილოს 15 მანეთი შესწირა.

◆ **ნებართვა.** გუბერნატორმა ნებადართო თბილისის ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებას აბასთუმანში იაფფასიანი და უფასო სასადილო გახსნას ღარიბთა და ავადმყოფ მგზავრთათვის.

◆ **ქონების ჩამორთმევა.** ფოთიდან იუწყებიან: 2 თებერვლის 1915 წლის კანონის ძალით ჩამოერთმევათ უძრავი ქონება გერმანელ ქვეშევრდომთ ჭიათურის რაიონში (შორაპნის მაზრაში): ჰელზენკირხენის საზოგადოებას, კავკასიის სამთამადნო საზოგადოებას, გილერტს და ვალტერს. სულ 617 დესეტინა მიწა ქვანახშირიანი, 12 შენობა და ორიც გამრეცხავი ქარხანა. ქუთაისის გუბერნატორმა ეს ცნობა საჯაროდ უკვე გამოაცხადა.

◆ **სავალდებულო დადგენილება სადალაქოების შესახებ.** 8 ივნისს ქალაქის საბჭომ უნდა განიხილოს სავალდებულო დადგენილება სადალაქოების შესახებ. დადგენილება ეხება მომეტებულ ნაწილად სადალაქოთა სანიტარულ მხარეს.

◆ **სასახლის ბაღში** სეირნობამ დიდძალი ხალხი მიიზიდა. ბაღში ხუთ ალაგას ორკესტრი უკრავდა. კიოსკები იდგა: იტალიელებისა, ინგლისელებისა და სხვათა. ათიათასზე მეტი მოსეირნე დაესწრო. შემოსავალი ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტს გადაეცემა.

◆ **არჩევნები.** ქალაქის განაპირა ადგილების მცხოვრებთა ერთმა ჯგუფმა, რიცხვით 20 კაცმა, ქალაქის თავი ინახულა და შუამდგომლობა აღძრა, რომ ქალაქის არჩევნები მოახდინონ ძველის წესით. როგორც ვიცით, უკანასკნელი არჩევნები ქალაქის მხოლოდ შვიდს რაიონში მოხდა.

◆ **ბავშვების ექსკურსია.** კავკასიელ ქალთა საზოგადოების ქართულმა სექციამ 1 ივნისს ბოტანიკურ ბაღში წაიყვანა თავის ვერის უფასო სასადილოში მოსადილე 50 ბავშვი. ექსკურსია დილის ცხრა საათზე გაუდგა გზას სასადილოს შენობიდან. სასადილოდან ბავშვებს თან მიჰქონდათ თავიანთი სადილი. ბაღის დათვალიერების შემდეგ გაიმართა ბავშვების თამაში, რასაც ხელმძღვანელობდა 16 წლის კირა სტრახოვა. ნაშუადღევის 4 საათზე ექსკურსია უკანვე დაბრუნდა. სექციას აზრად აქვს ხშირად მოაწყოს ექსკურსიები და აგრეთვე ყოველ კვირაში გამართოს ხოლმე უფასო სასადილოსთან საბავშვო დილა ბუნდოვანის სურათებით.

◆ რედაქციამ მიიღო ო. **გედევანიშვილის მოთხრობანი,** გამოცემა იასონ კერესელიძისა № 9. წიგნი ღირს 25 კაპ.

◆ **მენახშირენი.** საბურთალოდან მენახშირეებმა თავიანთი ვაჭრობა ქალაქსა და არტილერიის ყაზარმებთან გადაიტანეს, რის გამოც ქალაქის მართველობამ პოლიცმეისტერთან შუამდგომლობა აღძრა, რათა მათ ამ ადგილებში ვაჭრობა აეკრძალოს.

◆ **ხეხილთა საწამლოდ** რუსეთის საზოგადოების მეხილეთა ინსტრუქტორი ბ. ბ. ბაგრამოვი ქართლში გაემგზავრა.

**შეცდომის გასწორება.** გაზ. „საქართველო“-ს № 9-ში, ბ. ალშიბაიას წერილში „ციური წყალი“-ში შემდეგი კორექტურული შეცდომა შეგვეპარა. მესამე გვერდზე, მესამე სვეტის მე-43 სტრიქონში ზევიდან ქვევით სწერია: მაშინ ამ სითხეს უნდა მიემატოს $AzH^3$ ე. ი. ნიშადური.—უნდა იყოს: მაშინ ამ სითხეს უნდა მიუმატოთ 1 ჩარექიანი ბოთლი $AzH^3$ ე. ი. ნიშადური და სხ.

# „ძმური ნუგეში“

ომის ხმაურობამ ჩვენი საზოგადოებრივი ეროვნება უფრო უქმ ლაყბობას შეაჩვია, ვიდრე საქმიანობას. პროექტები ცხოვრების გასაუმჯობესებლად, როგორც აწმყოსთვის, ისე მომავალისათვის, რამდენიც გნებავთ, იმდენია, ვერც კი ჩამოსთვლით. რეალურად კი ძალიან ცოტა რამ კეთდება. აი, ეს გარემოება გვაიძულებს, რომ ცოტაოდენი სიცოცხლის გამოჩენა, ანუ ცოტაოდენი მოქმედება გულწრფელ სიხარულით აგვაფრთოვნებს ხოლმე.

აი, დღესაც გაზეთის ფურცლის თავზე განცხადება „ძმური ნუგეში“ გატყობინებთ ერთს ამგვარ სასიხარულო ამბავს: ჩვენშიც, მართალია, მეტად ნაგვიანევად, მაგრამ მაინც თურმე რეალურად შესდგომიან საქმეს, და იცით ვინ? ჩვენი მანდილოსნები! ჭეშმარიტად, ვის არ გაუხარდება ასეთი ამბავი!.. რა ნუგეში იქნება ჩვენს მებრძოლთათვის, როდესაც ხმა შეესმებათ, რომ მათი დები უქმად არ სხედან, რომ ისინიც შრომობენ, სასოწარკვეთილებას ძაძა არ მოუსხმევინებია მათთვის, რომ სიცოცხლის საძიებლად ამოძრავებულან და წვლილი შეაქვთ საზოგადო ჭირთან საბრძოლველად, ეს იმ ჭირთან, რომელსაც გვივლენს არა მარტო სტიქია, არამედ ომის საშინელი ქარიშხალი!

„ძმური ნუგეში“!

რა დიადი სახელწოდებაა! რამდენ კეთილს რამეს არ ჩაგვჩურჩულებს ეს ორი სიტყვა!

„ძმური ნუგეში“!

ეს ხომ უბრალო სიტყვა არ იქმნება, ეს ხომ უქმ ლაყბობად არ ჩაეთვლებათ, ჩვენს დებს“!

„ძმური ნუგეში“!

მართლაც ნუგეშია, იმედი ჩვენს დედათა გამოღვიძებისათვის, იმ დედათა, რომელნიც ისტორიულად თავიანთ მისიის სიდიადეს უფრო საშინელებისა და კარს მომდგარი ჭირის დანახვის დროს იჩენდნენ ხოლმე.

„ძმური ნუგეში“!

ეს პირველი ნაბიჯი სამოქმედო ასპარეზზე აღნიშნული იქნება სურნელოვანების სიამით.

გავწიოთ ჩვენც მანდილოსანთა ახლად გახსნილ „ძმურ ნუგეშისაკენ“!

სალამთან ერთად ვუსურვოთ სრული გამარჯვება....

დასტური დავცეთ „ძმურ ნუგეშსა“ ძმური ნუგეშით!

დ. კ—ძე.

# წყალქვეშა

უეჭველია, ჩვენ მკითხველთა უმეტესობამ არ იცის, თუ როგორ არის მოწყობილი წყალქვეშა. ბევრს ჰგონია, თითქოს წყალქვეშა მუდამ წყალ ქვეშ დასცურავდეს, მაგრამ ასეთი წარმოდგენა შემცდარია. ყოველი წყალქვეშა მხოლოდ იმ დროს იმალება წყალში, როცა ეს მისთვის საჭიროა და მტერს ხიფათს უმზადებს, ანდა თვით განსაცდელი მოელის,-სხვა დროს იგი ზღვაზე დასცურავს, როგორც ჩვეულებრივი მოზრდილი ნავი. წყალში მხოლოდ რამდენსამე საათს ჩერდება. წყალში ყოფნის დროს მას დიდი სიმძიმე აწვება წყლისა და ამიტომ მისი სიმკვიდრისთვის ბორტებს (ფერდებს) მაგარ ფოლადისგან აკეთებენ. საუკეთესო წყალქვეშა გერმანელებს მოეპოვებათ, რომელთაც კრუპის ქარხნები ამზადებენ ქალაქ კილში. ასეთ წყალქვეშას შეუძლიან 43 საჟენის სიღრმეზე წყალში ჩაიმალოს. წყალქვეშა ისეა მომართული, რომ როცა საჭიროა, იგი რამდენიმე წუთის განმავლობაში წყალს შეიშვებს, რის გამო მძიმდება, განსაზღვრულ სიღრმემდე იძირება და წყალ ქვეშ იწყებს ცურაობას. რამდენადაც მეტ წყალს შეუშვებენ ნავზი, იმდენად ღრმად მიდის. როდესაც უნდათ წყალქვეშა კვლავ ზევით ამოცურდეს, შიგნით შენახულ ხელოვნურად შეკუმშულ ჰაერს უშვებენ მილებში, წყალს გარედ ჰღვრის და ნავიც, რაკი მსუბუქდება, მაღლა ამოდის. წყალქვეშ ჩამალვას და კვლავ ზევით ამოსვლას დიდი დრო არ უნდა. ეხლა ვნახოთ, რანაირად მოქმედებენ, როცა ნავი წყალქვეშ იმყოფება, როგორ ადევნებენ თვალყურს მოწინააღმდეგის გემსა თუ ჯავშნოსანს, როგორ ესვრიან ან როგორ ჰხედავენ. ასეთს ნავს ხელოვნური თვალები აქვს საგანგებოდ მოგონილი, რომელსაც პერისკოპი ეწოდება. იგი 15 ფუტიანი ფოლადის მილია. ეს მილი ოდნავ წვერში მოხრილია. შიგ სარკეები აქვს და ამ სარკეებში სჩანს თუ რა ჰხდება ზღვის ზედაპირზე. ეს სარკეები მილში სხვა სარკეებს სურათის მსგავსად გადასცემენ ნავში მყოფს მტრის გემის მოძრაობას თუ მის მდგომარეობას. ამ მილის თავი ისეა მოწყობილი რომ საითაც უნდათ, იქით მიუბრუნებენ, რომ ყოველ მხრივ ჩაიბეჭდოს და ნავის უფროსს გადასცეს. ნავის უფროსი, როდესაც ჰხედავს სარკეზე სურათს, სხვა და სხვა მოგონილ საშუალებით ამჩნევს, თუ მტრის გემი რა მანძილზე იმყოფება. ხანდახან იძულებულია ნავმა ღრმად ჩაიყურყუმელავოს, ასე რომ მილიც წყალში იმალება და ვეღარაფერს ჰხედავენ, მაშინ უფროსი კომპასით იგებს გზას. თუ სურთ გაიგონ რა სიღრმეზე ჩავიდნენ დაბლა, ამასაც ახერხებენ ერთგვარ წყლისავე საზომით. ასეთს ნავში 10—30 კაცამდეა. ნავში სხვა და სხვა მაშინები უდგათ. შეკუმშული ჰაერი ჩააქვთ და შემდეგ ეს მაშინები უმზადებენ სასუნთქავ ჰაერს. 30 კაცს შეუძლიან წყალქვეშაში რამდენიმე დღე-ღამე დაჰყონ. ყუმბარებს და ნაღმებს წყალქვეშას წინა ნაწილიდან ესვრიან. ნავში აქვთ აგრეთვე სამნახევრიან დიუმიანი ზარბაზანი იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა ზევით ამოსვლისას სროლა დასჭირდათ. ამ ზარბაზნებს 20 წამში მოაწყობენ ნავის ბაქანზე და კვლავ ისევ სწრაფად ნავში შეინახავენ. სიგრძე წყალქვეშას 120 ფუტი აქვს, სიგანე 13 ფუტი. მუშაობს მატორებით და მისი ძალა 250 ცხენის ძალას უდრის.

საათში გადის წყალქვეშა 49 ვერსს, ხოლო ზედაპირზე როცა დასცურავს, საათში 84 ვერსს [illegible]. ამ ბოლო დროს გერმანიაში წყალქვეშა ერთი ათად უფრო [illegible] გერმანიის არც ინგლისი ჩამორჩება. ბოლო დროს გამოგონილი წყალქვეშა 2,000 საზღვაო მილის მანძილზე მოქმედებს და წყალ ქვეშ რჩება ერთ თვემდის.

ს. შ.

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წლიური კრება.**

1 ივნისს კრება გაიხსნა საღამოს 9 საათზე. წინანდელ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ უნდა შესდგომოდენ ხარჯთაღრიცხვის მესამე განყოფილების განხილვას. თავმჯდომარემ თავ. მ. ა. სუმბათაშვილმა განუცხადა კრებას, რომ მომავალი წლიდან ბევრს მთხოვნელს სრულებით აღარ მიეცემათ რა, ბევრს კი შეუმცირდებათო. ამ საგანს უფრო ვრცლად შეეხო თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. შემდეგ კრება შეუდგა ხარჯთაღრიცხვის შესახებ განყოფილების ყველა მუხლის ცალ-ცალკე განხილვას. ხარჯთაღრიცხვით წინამძღვარიანთ სკოლის სასარგებლოდ ნავარაუდევია 5000 მანეთი და თამჯდომარე შეეკითხა კრებას,—გაიღებთ თუ არა ნაჩვენებ თანხასაო. **რ. გაბაშვილმა** განაცხადა, რომ სკოლის ანგარიში არ წარმოუდგენიათ ჩვენთვის; სკოლის მდგომარეობა სიმწუხაროა, ფულის გაღების დროს ჩვენ მომეტებულ ნაწილად საქმეზე მაღლა პიროვნებას ვაყენებთ, ილია ივანეს ძეს მე დიდად პატივსა ვცემ, მაგრამ სკოლას, როგორც საზოგადო დაწესებულებას, იმაზე მაღლა ვაყენებო. **ლ. გ. წინამძღვარიშვილმა** დაიცვა სკოლის ინტერესები, როგორც ერთად ერთ სასარგებლო დაწესებულებისა და ბოლოს დასძინა: „თუ ვისმეს ეჭვი ეპარება სკოლის სიკარგეზე, ავირჩიოთ მცოდნეთა კომისია, რომელიც განიხილავს სკოლის პროგრამას და საზოგადოდ სკოლის ავ-კარგიანობას და რასაც ის კომისია გვეტყვის, ისე მოვიქცეთო. **დ. ა. გურამიშვილმა** ურჩია კრებას მოწვეულ იქმნან ყველა სასწავლებლის უფროსები და დეპუტატთა საკრებულომ მათთან ერთად გამოარკვიოს, რომელი სასწავლებელი საჭიროებს დახმარებას. **შ. ქარუმიძემ** წინადადება შეიტანა მუდმივი კომისიის არჩევის საჭიროების შესახებ. თავ. ვ. დ. ვაჩნაძეს და ლ. ლ. ჩერქეზიშვილს კომისია ზედმეტ ბარგად მიაჩნიათ. თავჯდომარემ განაცხადა, რომ დეპუტატთა საკრებულოს რამდენიმეჯერ ჰქონდა მსჯელობა ამ საკითხის შესახებ; მცოდნე პირებიც გვყავდა მოწვეული, და მხოლოდ შემდეგ ვივარაუდეთ რაოდენობა ამა თუ იმ სასწავლებლის დასახმარებლადო. თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა მოახსენა კრებას, რომ უკვე გადაწყვეტილია საერობო თანხიდან ეძლიოს წინამძღვარიანთ სკოლას 3000 მანეთი და ეს პირველი მაგალითია ხსენებულ თანხიდან ფულის გაღებისა სწავლა-აღზრდის სასარგებლოდო. კამათი ერთობ გაჭიანურდა. კომისიის არჩევის შესახებ ხმა ჩამოუტარეს, კომისია უმრავლესობით უარყოფილ იქმნა.

შემდეგ კრებამ შეიწყნარა წინამძღვარიანთ სკოლის სასარგებლოდ ნავარაუდევი 5000 მან., ჭრა-კერვის სკოლისათვის 600 მან., მცხეთის ქალთა სკოლისათვის 1.400 მან., საშუალო სასწავლებლის მოწაფეთა დასახმარებლად 3000 მან., თბილისისა და თელავის წმ. ნინოს სასწავლებლისათვის თითოს 1.000 მან., გორის საქალებო სასწავლებლისათვის 1.000 მან., გორის სავაჟო გიმნაზიისათვის 1.500 მან., (წარსულ წელში მიეცა 2.500 მან.), განათლების საზოგადოებისათვის 1.000 მან., საბალოსნო სკოლის მოსწავლეთა დასახმარებლად 6000 მან. და სიღნაღის მარიამის სახელობის ქალთა სკოლისათვის 1.000 მანეთი პირობით.

დიდი კამათი გამოიწვია თელავის სავაჟო გიმნაზიისათვის მისაცემმა ფულმა. ხარჯთაღრიცხვაში ნავარაუდევია ამ სასწავლებლისათვის 2.500 მან. ამის გამო დ. ე. ჩოლოყაშვილმა განაცხადა, რომ სიტყვიერი პირობა აქვს დადებული ფულის გაღების შესახებ თელავის მაზრის მარშალს, მაგრამ ვალდებულად არა ჰხდის თავად-აზნაურთა კრებასო. ასტყდა ხანგრძლივი კამათი. ხმის ჩამოტარებით კრებამ გადასწყვიტა მხოლოდ 1.500 მანეთი მისცენ ხსენებულ პროგიმნაზიას. მაგრამ თავმჯდომარემ კერძო სათათბიროდ მიიწვია თავადაზნაურნი. კრების განახლებისას ისევ ჩამოუტარეს ხმა და ეხლა-კი, ხარჯთაღრიცხვის თანახმად, 2.500 მანეთის მიცემა იქმნა შეწყნარებული.

შემდეგ კრება შეუდგა ხარჯთ-აღრი-

ცხვის მეოთხე განყოფილების განხილვას. ამ განყოფილებაში აღნუსხულია ქართული კულტურუ დაწესებულებანი, რომელთაც ეხმარება თავადაზნაურობა. კრებამ უკამათოდ გადასდო 5.000 წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ. დამსწრენი დაიქანცნენ. კრება გადაიდო შემდეგი დღის საღამოს 8 საათისათვის.

2 ივნისს კრებამ განაგრძო ხარჯების განხილვა. დრამატიული საზოგადოების დასახმარებლად ნავარაუდევია 5,000 მანეთი; წარსულ სეზონში-კი იმავე საზოგადოებისათვის მიუციათ 9,000 მანეთი. ამ ჯამის შემცირება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ დრამატიულ საზოგადოებას არავითარი ანგარიში არ წარუდგენია თავის მოქმედებისა და მოსალოდნელი ხარჯებისა, თუმცა ამის შესახებ უწყება გაუგზავნიათ მათთვის.

შალვა მესხიშვილის წინადადებით წაკითხულ იქმნა დრამატიულ საზოგადოების მიერ მაისის შუა რიცხვებში წარმოდგენილი განცხადება, რომელშიაც აღნუსხულია დრამატიულ საზოგადოების გაჭირვებული მდგომარეობა, რაიცა გამოიწვია თეატრის დაწვამ; მაგალითად, განცხადებაში ნაჩვენებია, რომ საზოგადოებას დაეწვა ტანთსაცმელი, დეკორაცია, ბიბლიოთეკა და სხ., ნაჩვენებია აგრეთვე საზოგადოების ვალი და სხ. ამის გამო დრამატიული საზოგადოება სთხოვს თავად-აზნაურობას წარსულ წელზე ზედ მეტს 7,500 მან., ე. ი. სულ 16,500 მა-ნეთს.

დრამატიული საზოგადოების თხოვნის სასარგებლოდ ბევრი ილაპარაკეს შ. მესხიშვილმა, თავ. ი. ბარათაშვილმა, თავ. ნ. მ. მელიქიშვილმა, ა. ყანჩელმა და სხ. როგორც იმათ ლაპარაკიდან გამოირკვა, საზოგადოება აპირებს მომავალ სეზონისათვის დასის შედგენას და სისტემატიურად წარმოდგენების მართვას, რისთვისაც საჭიროა შენობის დაქირავება, ტანთსაცმელისა და დეკორაციის შეძენა, არტისტებისათვის ბეს მიცემა, ვალების რამდენიმე ნაწილის გასტუმრება და სხ. და ყოველივე ამისათვის თხოულობდნენ არა უმცირეს 14,000 მანეთისა. თავ. ნ. ჭავჭავაძე და რ. ა. გაბაშვილი წინააღმდეგი აზრისანი იყვნენ. ბ-ნმა გაბაშვილმა, მაგალითად, სთქვა, რომ ყველა ჩვენი საზოგადოება იმის ნაცვლად, რომ თვით-მოქმედება გამოიჩინონ, თავად-აზნაურობას მოადგებიან ხოლმე კარებზე სათხოვნელად და ამაში დანაშაული თვით თავად-აზნაურობას მიუძღვის, რომელიც უარს ვერავის ეუბნება და ამით გარყვნა საზოგადოებაო. დრამატიული საზოგადოება არაოდეს არ ემსახურებოდა თავისს დანიშნულებას, მაგრამ ფულს-კი მუდამ ვაძლევდით; წარსულის მიხედვით დღესაც თხოულობს იგი სუბსიდიას, მაგრამ უნდა გამოვიჩინოთ მოქალაქობრივი სიმამაცე და გადაჭრილი უარი ვუთხრათ.

ვრცელი კამათის შემდეგ თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს. ხმის უმეტესობით კრებამ დაადგინა მიეცეს საზოგადოებას 5.000 მანეთი, ამასთანავე დაევალოს დეპუტატთა საკრებულოს, მოწვეულ მცოდნე პირებთან ერთად, გამონახოს ზედმეტი თანხაც, რამდენიც შესაძლო იქნება ამავე საქმისათვის.

შემდეგ კრებამ გადასდო, ხარჯთაღრიცხვის თანახმად: ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ 7.000 (წარსულ წელში მიეცა 6.200 მან.), სიტყვა კაზმულ ლიტერატურის საზოგადოებისათვის 800 მან., ფილარმონიულ საზოგდოებისათვის 1.000 მან., ქართულ კულტურის მოყვარულ საზოგადოებისათვის 600 მან., სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ-საქველმოქმედო საზოგადოებისათვის 4.000 მან., და ღარიბ მოსწავლეთა შემწე თავად-აზნაურთა საზოგადოებისათვის ქართულ გიმნაზიის შესანახად და გიმნაზიის შენობის ვალთა $^0/_0$ $^0/_0$-ს დასაფარავად 85.000 მან.

წაკითხულ იქნა თხოვნა განათლების საზოგადოების გამგეობისა იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობამ აძლიოს მას წლიურად 3.000 მან. მომავალ სამოსწავლო ქალთა სემინარიის სასარგებლოდ, რომლის გახსნასაც საზოგადოება აპირებს და რომელშიაც, ახლად გამოსულ კანონის თანახმად, სწავლება ქართულს ენაზედ იქნება. დეპუტატთა საკრებულოს არ შეუწყნარებია ეს თხოვნა, რადგან, როგორც თავჯდომარემ აღნიშნა, მთხოვნელს არ წარმოუდგენია დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა სემინარიისა და საზოგადოდ პროექტი საზოგადოების მოქმედებისა. ამას გადრა, თავად-აზნაურობას უკვე ჰქონია ქალთა სკოლა, სადაც ქართულ ენას აქამდისაც საპატიო ადგილი ეჭირა და შემდეგშიაც, ხსენებულ ახალ კანონის ძალით, შესაძლებელია სწავლის რეორგანიზაცია და განათლების საზოგადოებას შეუძლიან ამ სასწავლებელს შეუერთოს თავის მიერ განზრახული სემინარია, რაიცა ერთობ შეამცირებს ხარჯებსო. საკითხმა გძელი და გულწრფელი კამათი გამოიწვია. ბოლოს კრებამ ერთხმად გადასწყვიტა ნაჩვენებ საქმისათვის ეძლიოს განათლების საზოგადოებას წლიურად 3.000 მან., კრება გადაიდვა შემდეგი დღის საღამოს 8 საათისათვის.

## ჩვენი ცხოვრება

**აჭარიდან.** 19 მაისს სოფელ ხულოს გენ. ლეიტენანტი ი. ა. პოროშინი ეწვია. გაშლილ მინდორზე თავი მოეყარა სამი ათასამდე აჭარელს. გენერალმა საზოგადოებას დაახლოვებით ასე მიჰმართა: როდესაც აჭარაში ოსმალები გადმოვიდნენ, ზოგიერთმა თქვენგანმა ერთგულების მოვალეობა დაივიწყა და მტრის მხარეზე გადავიდა. გაფრთხილებთ, ასეთი რამ კვლავ აღარ განმეორდეს, თუნდა ხელმეორედ ოსმალები აჭარაში შემოიჭრენ. დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.

შემდეგ მოლებს მოუწოდა: ილოცეთ რუსეთის გამარჯვება და ჩააგონეთ აჭარლებს ერთგულება ტახტისადმიო.

ლოცვის შემდეგ ხალხმა გენერალს დეპუტაცია გაუგზავნა და მოახსენა: სიმინდის უქონლობით გაჭირებას და შიმშილს განვიცდით, გამოგზავნილმა კომისიამ არავითარი დახმარება არ აღმოგვიჩინა და თქვენ მაინც დაგვეხმარეთო. ამასთანავე დეპუტაციამ სთხოვა, რომ ადგილობრივ აჭარელთა სკოლებში სწავლა ქართულ ენაზე სწარმოებდესო. გენერალმა გულდასმით მოისმინა ხალხის წარმომადგენელთა ნათქვამი.

### წერილი ქიზიყიდან.

ქიზიყში ამ ოთხი-ხუთი დღის წინეთ ერთი კვირის განმავლობაში კოკისპირულად, გადაუღებლივ იწვიმა. მართალია, აპრილმა და მაისმა თითქმის ავდრიანობაში გაიარა, მაგრამ ბოლო ხნის წვიმები სულ სხვა, რაღაც არაჩვეულებრივი იყო.

შედეგიც ამ არაჩვეულებრივ წვიმას ძლიერ სამწუხარო მოჰყვა.

ამ ექვსი, შვიდი წლის განმავლობაში ქიზიყში რიგიანი, ბარაქიანი მოსავალი აღარ ყოფილა. ქიზიყელნი სულ ფქვილის მონასყიდე ხალხე შეიქმნა, მაშინ როდესაც სხვა დროს ქიზიყი იყო ბეღელი სხვა კუთხეებისა, განსაკუთრებით კახელებისა.

მხოლოდ წელსა ჰქონდა მოსავლობა ჯეჯილს და მოსავალს რიგიანი, კარგი თვალი უჩანდა. აპრილის გასვლამდის ზოგიერთი კიდეც ამბობდა, წლევანდელს მოსავალში ღვთის თვალი შიგ ტრიალებსო. ძლიერ დაკვირვებულნი აფრთხილებდნენ გულფიცხთ—სანამ კაცმა მოსავალი ბეღელში არ ჩაიკლოს და შეინახოს, მის ავ-კარგიანობაზე ლაპარაკი ნაადრევიაო.

აკი კიდეც გამართლდა მათი ეჭვიანობა.

ბოლო დროს მოსული წვიმა მთლად ნიაღვრად იქცა; წამოვიდა მაღლობ, მთიან ადგილებიდან და ქიზიყის მინდორი წყლით გაავსო. მზად, სამკელად მოღერებულ-მოსული სარჩო მთლად წალეკა, მიწასთან გაასწორა, გაანადგურა.

მთელს ქიზიყის სოფლებში და მინდორში დიდი, აუნაზღაურებელი ზარალია, მოსავალი მთლად გაფუჭებულია, მაგრამ უფრო სავალალო სურათს წარმოადგენს ყარაღაჩის, ქვემო-მაჩხაანელთა მინდორი.

ყანები აქ მთლად ნიაღვრებით არის წარღვნილი და ამ ჟამადაც წყლის დენა ჯერაც არ შეწყვეტილა. მოსავალი მიწა ლაბშია წაქცეული და განაგლული. მისი მომკა უაზრობა-ღა იქნება, შრომად აღარ ეღირება. ერთი სიტყვით, ქვემო მაჩხაანელთ წელს მოსავალზე ხელი უნდა დაიბანონ.

თანახმად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მოწერილობისა, ქვემო-მაჩხაანის განყოფილება 9 ივნისს ჰმართავს აკაკის საღამოს ქიზიყის მოსწავლე ახალგაზრდობის და სცენის მოყვარეთა მონაწილეობით. საღამო იქნება 4 განყოფილებად. პირველ განყოფილებაში წაიკითხება აკაკის მოკლე ბიოგრაფია და რეფერატი. მეორე და მეოთხე განყოფილებებში წაიკითხავენ აკაკის ლექსებს და იმღერებენ, მესამე განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება აკაკის „ბუტიაობა“.

**ეგ. მენ-შვილი.**

### დიდი-ჯიხაიში (ქვემო იმერეთი).

გაზაფხული სულ უამინდობაში გავიდა, რამაც დიდად შეუშალა ხელი ხვნა-თესვას. ვინც დათესვა მოასწრო, მას შრომამ უქმად ჩაუარა. აბრეშუმის ჭია უკვე გამოსულია, თუმცა მისი მოსავალის შიშიც არის გამოურკვეველი ამინდების გამო.

სხვა და სხვა გადამდები ავადმყოფობა სოფელში თანდათან ძლიერდება, ეხლა სახადმა თუმცა იკლო, მაგრამ დაიწყო მეორე სენი—ციებ-ცხელება და მალიარია, რომელიც ქვემო იმერეთის მუდმივი სტუმარი იყო. წელს იგი უფრო სასტიკია, რაგან მრავალი ბავშვი ეხლავე მკვახე ხილითა და სხვა ბალახეულობით იკვებება, რაიც უსათუოდ ხელს უწყობს ავადმყოფობის გაჩენა-გახშირებას. შიმშილობა-გაჭირვებაც მატულობს. მცხოვრებნი ხშირ-ხშირად წისქვილებს მისცვივდებიან ხოლმე დღიურ ლუკმის საშოვნელად. ზოგიერთის ვარაუდით აქ ნამდვილ დამშეულთა რიცხვი 660-ს აღემატება. საცაა სხვებს გამოელევათ უკანასკნელი მუჭა სიმინდი.

სიძვირე წარმოუდგენელია, განსაკუთრებით მიუწდომელი ხდება წუმწუმა და ნავთი. ხალხის ნედლ საქონელს ვაჭრები მესამედ ფასშიაც არ იღებენ.

**ი. იმერელი.**

### ს ა ი ნ გ ი ლ ო.

გამუდმებული, კოკისპირული წვიმებია. მთელმა მაისმა ისე გაიარა, თითქმის ერთი მზიანი დღე არ გვინახავს. ცივა და ზოგჯერ ძალიანაც, კაცს ნამდვილი შემოდგომა ეგონება. მუდმივმა წვიმებმა და სიცივეებმა დიდი ზარალი მიაყენეს მცხოვრებლებს. მდინარეები კალაპოტიდგან გადმოვიდნენ და წალეკწაიღეს ზოგისა ბაღი, ზოგისა ვენახი, ზოგისა ნათესი მზამზარეული მინდვრები. ბევრი იყო ადამიანთა მსხვერპლიც. ბევრმა წვიმებმა ჭინახული ჩაალპო და გააყვითლა, ვენახებსაც არ უჩანს კარგი პირი და, თუ რამ მოსავალი მოვიდა, ძალიან მცირე, მით უმეტეს, რომ ბევრმა შაბიამანის უქონლობის გამო ვერც კი უწამლა ვენახებს. კარგი პირი არ უჩანს ბრინჯის ნათესებსაც.

***

## რუსეთის ცხოვრება.

**მოსკოვის ამბების გამო**

რუსეთის ყურადღება მოსკოვმა მიიპყრო. ზარბაზანთა გრიალი მიყუჩდა და მთელი რუსეთის ინტერესი ხალხის სტიქიურმა გრგვინვამ შთანთქა. ამ გრგვინვის ჩასაქრობად მიჰმართავენ ახალ-ახალი მოწოდებებით. სხვათა შორის, მოგვყავს „რუსკოე სლოვო“-ს მიმართვა მოსკოველთადმი შემოკლებით:

„რას სჩადით! რა გინდათ ჰქნათ მაგ არეულობით? გონს მოდით! ღვთის გულისათვის, წმინდა სიყვარულისა, დიდი და ძლიერი რუსეთის ხალხისათვის, გონს მოდით, შეჩერდით! ნუ გახდებით ჩვენი მტრის სათამაშო ნივთად. მაგვარი მღელვარებით თქვენ მტრის გულს ახარებთ: „რუსეთის გულში მღელვარებააო“! ელვის სისწრაფით ეს ამბავი მოედება მთელ ბერლინს. მოსკოვში ცეცხლია! მოსკოვში ხალხი დრტვინავს!.. ხალხი მღელვარებს! მოსკოვში უწესოებაა! თვით მოსკოვშიაც კი!.. და სიხარული მოიცავთ მათ... უდიდესი მხარე აღიძრა... საზღვარ-გარეთ მოსკოვს რუსეთის გულად სთვლიან... რა მწუხარება მოიცავს ჩვენ მოკავშირეებს!.. გონს მოდით, გონს... თქვენც, მოსკოვის ქალებო, ნახეთ თქვენ-თქვენი ქმრები... უთხარით... ეს უგუნურებაა... განა ცეცხლი ჩვენს მტერს გასტეხავს? ცეცხლი ხომ ერთი სახლიდან მეორეზე გადადის, დაისჯებიან რუსის ქალებიც... თქვენ ხომ განვითარებული მუშები ხართ... თქვენ უნდა შეისმინოთ... გწამთ, რომ ჩვენი ჯარი მალე გამარჯვებული იქნება... დავიცვათ ეს რწმენა... ნუ გავახარებთ მტრებს ჩვენი მღელვარებით.,. როგორც სვავი, ისე მოელის იგი ჩვენს შორის ამ ამბების გაგონებას... მაშ ვეცადნოთ, ნურც ჩვენ გავახარებთ მის ზვიადს გულს...“

ასეთი განცხადებანი ქუჩებში მრავლადაა. ბრბო კი კვლავ მღელვარებას განაგრძობს და ჯერ შორს არის კეთილგონიერებას გაუხსნას გული.

**სათათბიროს მოწვევის გარშემო.**

თავრიდის სასახლეში 30 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე გაიმართა კერძო თათბირი სახელმწიფო სათათბიროს წევრებისა. თათბირს დაესწრო ყველა ფრაქციის წარმომადგენელი, რიცხვით 60 კაცი. თავმჯდომარეობდა სახელ. სათათბიროს თავ—რე ბ-ნი როძიანკო. თათბირის მიზანი იყო გამოერკვია სახელ. სათათბიროს მოწვევის საკითხი. ყველამ უწყის, რომ ამ წლის დამდეგს მოიწვევა სახელ. სათათბიროსი საგანგებო მთავრობამ ნოემბრამდე გადასდო. მაგრამ დრო არ იცდის. ომის ამბებმა და შინაურმა საჭიროებებმა მწარე ტკივილებად დაუარეს რუსის ხალხს. ყოველგან ერთბაშად იგრძნეს მჭიდრო შეკავშირების საჭიროება, რუსეთის მრეწველთა მეცხრე კრება ამის ძლიერი გამომხატველი იყო. სათათბიროს მოწვევა, მთელი ხალხის წარმომადგენელთა პირისპირი გულახდილი ლაპარაკი და მათთან ერთად საერთო ღონისძიების გამონახვა მომავალი განსაცდელის ასაცილებლად,—უეჭველია მორიგი საკითხი იქნებოდა. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა 4 მაისს გამართული დეპუტატთა კერძო თათბირი. ყველას შეგნებული ჰქონდა საჭიროება ძალთა შეთანხმებისა. მემარჯვენე თუ მემარცხენე ყველა მომხრე იყო სათათბიროს მოწვევისა. კამათი მხოლოდ იმან გამოიწვია, თუ საროდისოდ დაენიშნათ სათათბიროს მოწვევა. მცირე კამათის შემდეგ, გადასწყვიტეს, თანახმად მილიუკოვის წინადადებისა, ვადის საკითხი წინასწარ ფრაქციებში გარჩეულიყო. ყველა ფრაქციამ თავ-თავის წევრებს ბარათები დაუგზავნა, რომ პეტროგრადს დაუყონებლივ ჩამოვიდნენ.

მთავრობის წევრებთა წინასწარი მოლაპარაკება და შეთანხმება დაევალა ბ-ნ როძიანკოს.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---


კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . . | 8 „ 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ 06 „ | „ |
| ივრიდან . . . | 11 „ 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ 56 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 2 ს. 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან . . . | 3 „ 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . . | 4 „ 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | |
|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. 42 წ. | საღ |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ 27 „ | „ |

**თბილისკენ მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. 58 წ. | დილ |
| კარდანახიდან . . . | 9 „ 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ 80 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 „ 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ . . | 5 „ 13 „ | „ |
| თბილისში , . . . | 5 „ 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 9 „ 25 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ 07 „ | „ |

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. 55 წ. | საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. . | 6 ს. 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. 25 წ. | დილ |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ | დღ. |

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა.**

25—9

---

# საკომისიო კანტორა

## ი. ტ. გვათუასი

**თბილისი, ვერის დაღმართი, № 1. ტელეფ. 17-05**

**რეგისტრაცია** თავისუფალ ბინისა; **გადაწერა და სწავლა** საწერ მაშინაზე **მიცემა ცნობისა** ყოველგვარ დაწესებულებიდან; **შუამავლობა** უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვისა, დაგირავებისა და იჯარით გასაცემად; ვკისრულობთ ყოველგვარ საკომისიო საქმეს ქალაქელთა და ქალაქ გარეშელთაგან.

**მონდობილებას** სწრაფად და პირნათლად ვასრულებთ. (8—6—4)

---

**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**

# „ახალი სიტყვა“

**(„НОВАЯ РѢЧЬ“.)**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—8)

---

მ ე ხ ი ლ ე თ ა ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა

# „ქ ა რ თ ლ ი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

---

## თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე საუკეთესო ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.